ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 20.02.2020 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 26-ს
ქ. თბილისი

რექტორის 2019 წლის 11 სექტემბრის N308-ს ბრძანებაში „აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი (ბაკალავრიატი), მეორე (მაგისტრატურა) და მესამე (დოქტორანტურა) საფეხურების 2019 -2020 სასწავლო წლის ადმინისტრირების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება რექტორის 2019 წლის 11 სექტემბრის N308-ს ბრძანებაში „აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი (ბაკალავრიატი), მეორე (მაგისტრატურა) და მესამე (დოქტორანტურა) საფეხურების 2019 -2020 სასწავლო წლის ადმინისტრირების შესახებ" და ბრძანების პირველი პუნქტის დანართის მე-2 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით.
2. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; საგამოცდო ცენტრს; ბუღალტერიას; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს; ენების ცენტრს.
3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.
4. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

„2. **გაზაფხულის სემესტრი:**

ა) **ადმინისტრაციული რეგისტრაცია** - 2020 წლის 2 მარტის ჩათვლით;

ბ) **აკადემიური რეგისტრაცია** - 2020 წლის 24 თებერვალი - 6 მარტი;

გ) **საუდიტორიო მეცადინეობა** - 2020 წლის 2 მარტი - 20 ივნისი;

დ) **შუალედური გამოცდები** - 2020 წლის 21 აპრილი - 2 მაისი;

ე) **ძირითადი და დამატებითი გამოცდების ჩატარება და შეფასება** - 2020 წლის 22 ივნისი -18 ივლისი;

ვ) **აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის დოქტორანტურის დამამთავრებელი სემესტრის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:**

2020 წლის 2 - 6 მარტი - სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა;

2020 წლის 10 ივლისის ჩათვლით - სადისერტაციო ნაშრომის დაცვა;

ზ) **სააღდგომო არდადეგები** - 2020 წლის 13 -20 აპრილი;

თ) **საზაფხულო არდადეგები** - 2019 წლის 19 ივლისიდან;

ი) **უქმე დღეები:**

ი.ა) 3 მარტი - დედის დღე (სამშაბათი)

ი.ბ) 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე (კვირა)

ი.გ) 9 აპრილი - ეროვნული ერთიანობის დღე (ხუთშაბათი)

ი.დ) 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე (ხუთშაბათი)

ი.ე) 12 მაისი - წმ. ანდრია მოციქულის ხსენების დღე (შაბათი)

ი.ვ) 26 მაისი - დამოუკიდებლობის დღე (სამშაბათი)“